პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 13 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

284 (982)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მალე გამოვა ჩვენი გაზეთის მეათასე ნომერი.

### სამხედროებო, გამოგვიგზავნეთ მასალები.

მომავალი წლის იანვრის დასაწყისში გამოვა ჩვენი გაზეთის მეათასე ნომერი. ეს დღე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი წითელი ჯარის მიერ.

გაზეთი „წითელი არმიელი" მეხუთე წელია რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ის შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა ჩვენი წითელი ჯარის გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეს. მრავრი სამხედრო კადრები გამოზარდა მან და გაისტუმრა წითელ ჯარიდან.

მიუხედავათ ათასგვარი მატერიალური და ტეხნიკური დაბრკოლებებისა „წითელი არმიელი" პირნათლად განაგრძობდა თავის საპასუხისმგებლო მუშაობას, მუდამ მხნედ იდგა ქართული წითელი ჯარის კეთილდღეობის სადარაჯოზე.

და აი მალე გამოვა მისი მეათასე ნომერი. ეს უსათუოდ დიდი მიღწევაა ჩვენი გაზეთის. „წითელი არმიელის" მეათასე ნომრის გამოშვების დღე—მისი საიუბილეო დღეა. და ეს იუბილე ქართულმა წითელმა ჯარმა მას ღირსეულად უნდა გადაუხადოს.

პირველი რაც მთავარია ჩვენმა სამხედროებმა ამ დღისათვის წინასწარ უნდა გამოგზავნონ საიუბილეო მასალები, რომლებშიდაც უნდა აღნიშნონ თავისი ნაწილების სამხედრო წრეების მიღწევები, გამოსთქვან თავისი სურვილები გაზეთის შემდეგი მუშაობის შესახებ; უნდა გამოგზავნონ აგრეთვე სურათები, რომლებიც ასურათებს სამხედრო მუშაობას, „წითელარმიელის" კითხვას ნაწილში და სხვა.

ჩვენი გაზეთის № 1000 გამოსვლის დღეს აგრეთვე საჭიროა საზოგადოთ პრესის და კერძოთ წითელ არმიელთა გაზეთების მნიშვნელობის გაშუქება ფართე წითელ არმიელთა მასაში და სამხედრო წრეებში მათი მიზიდვა.

ამ დღესვე საჭიროა აგრეთვე გაზეთზე ხელის მოწერის ფართოდ მოწყობა ნაწილებში და ცვალებადელთა შორის.

ასეთია ჩვენი გაზეთის საიუბილეო დღის სათანადოთ აღნიშვნის ძირითადი მომენტები.

რასაკვირველია ყოველივე ეს უცბად არ გაკეთდება. საჭიროა წინასწარი მზადება, რასაც ამ თავითვე უნდა შეუდგენ პირველყოვლისა ჩვენი სამხედროები და მით ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ჩვენი გაზეთის პირველ იუბილეს ღირსეულად აღნიშვნას.

ვემზადოთ „წითელარმიელის" საიუბილეო დღისათვის!

სამხედროებო! სასწრაფოდ მოგვაწოდეთ მასალები ამ დღისათვის (წერილები, ფოტოგრაფიული სურათები და სხ.).

## „წერკუმსის" ყრილობის გამო.

გუშინ გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების პირველი ყრილობა. ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „წერკუმსი" უკვე შეიქმნა საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციათ, რომელიც ნაყოფიერად ებრძვის წერა-კითხვის უცოდინარობას.

დღეს ყველასათვის აშკარა არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთელი ღონისძიება, მთელი მისი სახელმწიფო ხარჯების დიდი უმეტესობა ხმარდება სახალხო განათლების საქმეს. მაგრამ ძველმა ბურჟუაზიულ წესწყობილებამ დიდი უკულტურობა და უვიცობა გვიანდერძა. მარტო მუშურ-გლეხური მთავრობა მთლიანად ვერ შესძლებს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას. აქ საჭიროა ყველა მშრომელის ამოძრავება და წერა-კითხვის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

საქართველოში „წერკუმსი" სულ ორი წელია რაც დაარსდა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამ საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა. „წერკუმსი" იზრდება რიცხვობრივ, ფართოვდება აგრეთვე მისი მუშაობის ასპარეზიც. აღნიშნული ყრილობა ჯამს გაუკეთებს საზოგადოების წარსულ ნამუშევარს და გამოიმუშავებს ახალ გზებს, დაუსახავს ახალ გამგეობას ახალ ამოცანებს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის მეტის წარმატებით და ნაყოფიერებით საწარმოებლად.

„წერკუმსის" მთავარი ამოცანაა თავის მუშაობაში სოფლის მშრომელთა ფართედ ჩაბმა და მათ შორის ამ საზოგადოების მნიშვნელობის ფართოდ გაცნობა. საზოგადოთ „წერკუმსის" მუშაობის სიმძიმე ძევს სოფლად. აქ აქვს მას მუშაობის დაულეველი წყარო. ყრილობას მოუწევს მთელი რიგ პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა ამ მხრივ, რათა საზოგადოების უჯრედები ფართედ დაიბლანდოს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში. ამ საქმეში „წერკუმსს" ენერგიულად უნდა დაეხმაროს აგრეთვე ჩვენი წითელი ჯარი წითელარმიელების სახით. ამხ. წითელარმიელებმა თავის წერილებში სოფლად უნდა აუხსნან გლეხებს „წერკუმსის" მნიშვნელობა და მოუწოდონ მათ ასეთი საზოგადოების დაარსებისაკენ. ამით ჩვენი წითელარმიელები დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენი ქვეყნის კულტურული ზრდის საქმეს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე მოითხოვს დიდ საშუალებებს, ძალების გაერთიანებას და ერთსულოვნობას. „წერკუმს"-მა ნაყოფიერად დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ის უფრო მეტის წარმატებით განაგრძობს დაწყებულ საქმეს და მით მის მეოხებით ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყანა სამუდამოთ განთავისუფლდება ძველი, ჩაგვრის წესწყობილების მიერ ნაანდერძევ დიდ ბოროტებისაგან, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობა ეწოდება.

—ი.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში.

### ტიან-ცზინის გარშემო გაჩაღდა ბრძოლა

### მუკდენში უკვე დაიწყო ძარცვა და რბევა

### ჩან-ძო-ლინი კვლავ აპირებს ბრძოლის გაგრძელებას

### მოელიან გო-სუნ-ლინის მუკდენში შესვლას.

მუკდენში დიდი შიშიანობაა. ბანკები და მაღაზიები დახურულია. მოსახლეობას ეშინია, რომ ჩან-ძო-ლინის ჯარები უკან დახევისას დაარბევს ქალაქს.

დაიწყო ბრძოლა ტიან-ცზინის გარშემო. პეკინიდან ტიან ცზინისკენ იგზავნება დიდძალი ჯარი, იარაღი და სურსათ-სანოვაგე. პეკინსა და ტიან-ცზინს შორის რკინისგზა არ მუშაობს.

მუკდენში უკვე დაიწყო ძარცვა და რბევა. ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა ბრძოლის გაგრძელება მუკდენის დაცლის შემდეგ.

## მოსულის საკითხი ოსმალეთის საზიანოთ გადაწყდა.

### ოსმალეთის წარმომადგენელი დაბრუნდა ანგორაში.

ერთა ლიგის საბჭომ გამოიტანა მოსულის საკითხში ოსმალეთის საზარალო დადგენილება.

დადგენილება ხსნის ინგლისსა და ოსმალეთს შორის უშუალო მოლაპარაკების გზას.

საბჭოს დადგენილების გამო, რომ ერთა ლიგის დადგენილება სავალდებულოა ორივე მხრისთვის, ოსმალეთის დელეგატი ტევფიკ-რუშტი-ბეიმ შესწყვიტა მონაწილეობა საბჭოს სხდომაზე და დაბრუნდა ოსმალეთში.

ოსმალეთის მთავრობის სხდომაზე უარყოფილ იქნა ერთა ლიგის დადგენილება მოსულის საკითხის გარშემო.

## ფინეთის მთავრობის გადადგომა

გადადგა ფინეთის მთავრობა.

## უნგრეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება

უნგრეთისა და ოსმალეთ შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება ამ ქვეყნებიდან საზღვარ გარედ გამსვლელ მოქალაქეთათვის. ხელშეკრულების თანახმად გამსვლელთ ეძლევათ იმ სახელმწიფოს მუდმივ მოქალაქის უფლება, სადაც ისინი იცხოვრებენ.

## გერმანიის სოც. დემოკრატები მთავრობაში მონაწილეობის თანახმა არიან

გერმანიის სოციალისტებმა გამოსთქვეს თანხმობა მონაწილეობისა მთავრობის ფართე კოალიციაში იმ შემთხვევაში, თუ რომ მიღებულ იქნება მათი თერთმეტი პირობა, რომლებიც ეხებიან შინა საზოგადოებრივ რეფორმებს.

## პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა

ერთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა მისცეს პოლონეთს უფლება გამოიყენოს დანციგი როგორც სამხედრო-საზღვაო ბაზა.

## ედვარდსის წინადადება.

ამერიკის სენატორმა ედვარდსმა შეიტანა ამერიკის კონგრესში წინადადება შეცვლილ იქნას კანონი, რომლის ძალითაც აკრძალული იყო ამერიკაში სპირტეულის შეტანა.

## უცხო სიტყვათა ახსნა

**ბაზა**—დასაყრდნობი ადგილი.

**საკრედიტო დაწესებულება**—სესხის გამცემი დაწესებულება.

**ერთა ლიგა**—ევროპის მთავარ სახელმწიფოების გაერთიანება, რომელიც შესდგა მსოფლიო ომის შემდეგ,ვითომდა ახალი ომების ასაშორებლად და პატარა სახელმწიფოების ინტერესების დასაცავად. ნამდვილად კი ერთა ლიგა დიდი სახელმწიფოების ინტერესთა დამცველია.

**სენატორი**—სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებების წევრი ევროპის ქვეყნებში.

**რეფორმა**—ძირითადი ცვლილების შეტანა, გადაკეთება.

**კოალიცია**—სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებისგან შემდგარი მთავრობა.

**ინტენსიური**—გაძლიერებული.

---

ორშაბათს, 14 დეკემბერს საღამოს 6 საათზე „11 სექტემბერს დაღუპულ ამხანაგების სახელობის დარბაზ"-ში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება მაზრაში მუშაობის შესახებ;
2. მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი

# პარტიული ცხოვრების გაშუქება ჩვენს პრესაში

ყველაზე სუსტათ ჩვენს პრესაში (გაზ. „წ. არმ.“) შუქდება საკითხი პარტიული ცხოვრებისა, თუმცა გაზეთს აქვს განყოფილება „პარტიული ცხოვრება.“ უმეტეს შემთხვევაში ამ განყოფილებაში მოთავსებულია წერილი უკეთ ანგარიში უჯრედის საერთო კრებისა, სადაც სწერია: მოვისმინეთ ამხანაგის მოხსენება, მიღებულ იქმნა დადგენილება და სხვა. . . მაგრამ სრულებით არ შუქდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება უჯრედის ესა თუ ის დადგენილება ან რა შედეგი მოიტანა მან. ამას ჩვენი გაზეთის გვერდებზე ძალიან ნაკლებათ შეხვდებით. ძალიან ნაკლებათ შეხვდებით აგრეთვე უჯრედების გეგმიურ მუშაობის გაშუქებას.

როგორც ვიცით ყველა უჯრედები ადგენენ თვიურ სამუშაო გეგმას. რატომ არ შეიძლება, რომ უჯრედის სამუშაო გეგმის, ძირითადი მომენტები იქნეს გაშუქებული გაზეთის ფურცლებზე. შეიძლება და აუცილებელიც არის. არის კიდევ აუარებელი საჭირბოროტო საკითხები, რომლის გადასაჭრელად საჭიროა კოლექტიური აზრი, და ამ აზრის გამოთქმის საშუალება კი არის პრესა.

ჩვენ გაზეთში პარტიული ცხოვრების შინაარსიანად გაშუქება უმთავრესად ჩვენ სამხკორებზეა დამოკიდებული და განსაკუთრებით კი ბიურო-კოლექტივებზე.

რაზედ უნდა იწერებოდეს უმთავრესათ ჩვენს პრესაში პარტიულ ცხოვრებიდან? შემდეგზე: პარტიული ორგანიზაცია (უჯრედი) და სამხედრო დისციპლინა, უჯრედი და ნაწილის ადმინებლობა, უჯრედი და საშეფო საკითხები, კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან, კულტურული განმანათლებელი მუშაობა და უჯრედი, პარტიული დისციპლინა, უპარტიოთა შორის მუშაობა, მუშაობა კომკავშირში, უჯრედი და ნაწილის ეკონომიური მდგომარეობა, უჯრედი და სამხედრო საქმე, გეგმიური მუშაობა და სხვა და სხვა.

ყოველივე ეს საკითხები არ უნდა იყოს გაშუქებული შაბლონიურათ, როგორც მაგალითად „დასმული იყო ეს საკითხი და მიღებულ იქმნა ზომები“, არამედ დაწვრილებით უნდა იყოს რა ზომები იქმნა მიღებული და რა შედეგი მოიტანა მან. თუ კი ყველა ზემოდ მოყვანილი საკითხები იქნება კარგად გაშუქებული, მაშინ პარტიული მუშაობის კურსში იქნებიან ყველა პარტიული ორგანიზაციები და მასთან უფრო სუსტი უჯრედები გაუთანასწორდებიან მძლავრ უჯრედებს, წაბაძავენ რა მათ მაგალითს, ისწავლიან მათგან.

მე ზემოთ მოვიყვანე მთელი რიგი საკითხებისა, მაგრამ ამით არ ამოიწურება ის საკითხები, თუ რაზე სწერონ კომუჯრედებმა. აქ მხოლოდ უმთავრესი საკითხებია დასმული.

ნ. ბლუაშვილი.

# პარტიული და ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის ცხოვრება

## მე-2 ლეგ. კომუჯრედში.

26 ნოემბერს შესდგა ლეგიონის კომუჯრედის დახურული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ამხ. ელიაშვილის, მე-8 პარტ-კონფერენციის შესახებ, 2. ბიურო-კოლექტივის მდივნის მოხსენება კომუჯრედების დაარსების და პარტ-დისციპლინის შესახებ და 3. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე ამხ. ელიაშვილმა ფართოდ გააშუქა აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მუშაობა. მოხსენების შემდეგ კრების მიერ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და ხაზი, რომელიც აღებული აქვს საოლქო კომიტეტს არის სწორი.

მეორე საკითხის შესახებ ამხ. ეძგვერაძემ აღნიშნა, რომ ლეგიონში არის დაარსებული ცერთმეტი კომუჯრედი. კომუჯრედებზე არიან მიმაგრებული მომზადებული ამხანაგები პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლად.

პარტ-დისციპლინის დარღვევა, როგორც კრებაზე გამოირკვა გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი ამხანაგები დაგვიანებით მოდიან კრებაზე და მასთან თვრებიან, რაც კრებამ დაუშვებლად მიიჩნია და წინადადება მისცა ასეთ ამხანაგებს მომავალში არ განიმეორონ ასეთი საქციელი.

დასასრულ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ყველა კომუჯრედებში სწარმოებდეს გაცხოველებული მუშაობა.

მიმდინარე საკითხში იყო ამხ. ჰანტურიას განცხადება რემედასიის ჩამოყალიბების შესახებ, რომ ასეულების პოლიტ-ხელებმა აქტიური მუშაობა აწარმოვონ ამ მხრივ და ასეულის საერთო კრებაზე ხშირად იქნეს დასმული რემედასის მუშაობის საკითხი.

ჰანტურია.

# ხშირად ასეთი კრებები.

## მეოთხე ლეგიონის მე-9-ე ასეული.

ჩვენთან ამ რამოდენიმე დღის წინად მოხდა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო პარტწევრებს გარდა, ბევრი უპარტიოებიც. ამავე კრებას დაესწრო სამოქალაქო უჯრედის მთელი შემადგენლობა. სამხედრო კუთხის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. პატარქალაშვილმა, რომელმაც გააცნო დამსწრეთ თუ როგორ უნდა მოეწყოს სამხედრო კუთხეები და როგორია მისი მუშაობის ამოცანები.

მეორე საკითხი იყო საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობის შედეგები, რაზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მაროსნადირაძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ცეკას ანგარიშს და სოფლად მუშაობის საკითხებს და აღნიშნა ყრილობის დადგენილებები ამ საკითხების შესახებ.

მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც გასცეს სათანადო პასუხი.

კარგი იქნება თუ შემდეგშიდაც ხშირ-ხშირად მოაწყობენ ასეთ საქმიან კრებებს..

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

# შაშხანა-წითელი მებრძოლის მარჯვენა ხელია

## შეისწავლე მარჯვე სროლა.

სწორი გასროლისთვის უნდა შეეძლოს შაშხანის კარგად მომზადება, ვაზნების დაუბრკოლებლად ჩაწყობა, დამიზნება და ფეხის წესიერად გამოკვლა.

თავი და თავი სროლის მომზადებისთვის ისაა, რომ შაშხანა მაგრად და სწორად გეჭიროს ხელში.

ხოლო ამისთვის საჭიროა შაშხანა გეჭიროს შემდეგნაირად: კონდახი მარჯვენა გვერდით სავაზნე ბოლჩას ზევიდან, ხიშტი—მიმართული მიზნისკენ, მარცხენა ხელი მოჭერილი უნდა იყოს კორას ქვეშ ხის ჭრილებზე, მარჯვენათი უნდა გამოაღო საკეტი და ჩააწყო ვაზნები. ფეხები უნდა გედგას შემდეგნაირად: მარცხენა ფეხი უნდა გედგას რამოდენიმედ წინ და უნდა იდგე ნახევრად მიბრუნებული მიზნისაკენ.

ვაზნები სავაზნე ბოლჩიდან ამოიღება ისე, რომ კონდახი არ სცილდება მარჯვენა გვერდს და მარჯვენა ხელი გადმოდის კონდახის ყელთან გარედან.

ვაზნების ჩაწყობა სწარმოებს ჩქარა და მსროლელი მას არც კი უნდა უცქერდეს.

ის ამოიღებს სავაზნე ბოლჩიდან მჭიდეს ვაზნებით, სწრაფად ჩასდგამს მას ლულის კოლოფის ჭრილებში, მარჯვენა ხელის ცერით დააწვება ძირზე ზევითა ვაზნას, დანარჩენ ოთხ თითს ამოსდებს ქვევიდან ვაზნების კოლოფს და ცერის დაწოლით ჩაუშვებს ვაზნებს ვაზნების კოლოფში. მორიგი ანუ ზემო ვაზნა საკეტის დაკეტის დროს შევა სავაზნეში.

ფეხის გაშლით ნემსა მოხვდება ფისტონას, ფისტონა აინთება და ცეცხლი უჩნდება დენთს. დენთი აჩენს აირს, რომელიც გაისვრის ტყვიას. ტყვია მიდის მრუდე ხაზით და მუსრავს ყველაფერს, რაც კი ამ ხაზზე შეხვდება.

აი როგორ სწარმოებს გასროლა.

ი. ბ.

ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ მასალები და ფოტოგრაფიული სურათები ჩვენი გაზეთის მეათასე ნომრისათვის.

# ეცადე კარგად ისწავლო ფეხის გამოშლა.

ზამთრის პერიოდის მეცადინეობა უკვე დაიწყო. მეცადინეობა სწარმოებს გეგმისა და პროგრამის მიხედვით, რომელშიაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სროლის საქმეს უკავია.

რატომ ასეთი მთავარი ადგილი უკავია სროლის საქმეს? იმიტომ, რომ ჩვენ ვემზადებით მომავალ ომისთვის, ხოლო ომის დროს სროლა აუცილებელია და სროლა არა მარტო ჰაერში, არამედ სროლა მარჯვე, რომელიც მეტ ზიანს მიაყენებს მტერს. ასეთი სროლა შეეძლება მხოლოდ ისეთ მეომარს, რომელიც გულმოდგინეთ და ერთგულად მოჰკიდებს ხელს სროლის საქმის შესწავლას.

როგორ უნდა გახდე კარგი მსროლელი?—შეიძლება იკითხოს ჩვენმა ახალგაზრდა მეომარმა.

არც ისე ძნელია კარგ მსროლელად გახდომა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ისწავლო მარჯვე სროლა და იცნობდე შაშხანას.

შენ დაესწარი პირველ „საჩვენებელ“ სროლას. დაინახე თუ როგორ გაისროლა მეთაურმა შაშხანიდან. შემდეგ ოცეულის უფროსმა აგიხსნა, როგორ წარმოსდგა გასროლა, შენ თვითონ გაგატენია თოფი. შემდეგ მოგიყვანა გასანიშნებელ დაზგასთან და გაჩვენა, თუ როგორ დაგემიზნებია. შენ ამასაც მიხვდი. ეხლა შენ შეგიძლია დამიზნება, იცი თუ რაა დამიზნების ხაზი, დამიზნების წერტილი და იცი თუ რაა მიზანი, ე. ი. ის საგანი, რომელიც გინდა შემუსრო.

რა უნდა შეისწავლო კიდევ შენ? აი რა. შენ უნდა შეისწავლო ფეხის კარგად გამოშლა. რა არის ამისთვის საჭირო? უნდა მიხვიდე თავის ათეულის უფროსთან და სთხოვო მას, რათა მან გამოსდოს თითი გასაშალ ფეხს, ხოლო შენ მოსდევი საჩვენებელი თითი მის თითის, ეს იმიტომ, რათა მან შეამოწმოს როგორ უშლი შენ ფეხს და იმავე დროს როგორ უმიზნებ. თუ რომ შენ ფეხს ერთბაშად არ გამოჰკრავ, არამედ თანდათანობით გამოსწევ და იმავე დროს უმიზნებ შაშხანას წერტილში წესიერად, მოხვედრაც მარჯვე იქნება. თუ კიდევ შენ ფეხის გაშლის დროს სუნთქვას შესწყვეტ და არ მოხუჭავ მარჯვენა თვალს, იმ შემთხვევაში შენ აასრულებ ყველაფერს, რაც კი საჭიროა რომ კარგი მსროლელი გახდე. შენ დაგრჩენია მხოლოდ ერთი: ხშირად ივარჯიშო დამიზნებასა და ფეხის მშვიდად გაშლაში და შენ შესამჩნევი მსროლელი გამოხვალ შენს ოცეულში.

ხოლო ეს მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია. კარგი სროლის ცოდნით შენ დაასწრებ მტერს, სანამ ის გესროდეს.

ი. ბ.

# როგორ სწარმოებს საქონლის დანაკლისის შევსება.

უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირში არ იშოვება საკმაოდ ქალაქის საქონელი: ტილო და სხვა ქსოვილი, შაქარი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რკინეულობა, შუშეულობა, მინა და სხვა.

რა ჩქარი ნაბიჯით არ მიდის საბჭოთა მრეწველობა წინ, მაგრამ ის მაინც ვერ აკმაყოფილებს ჯერჯერობით მოთხოვნილებას საქონელზე. ჩვენ გვიხდება ძველი ფაბრიკა-ქარხნების ხელახლა შეკეთება, მოძველებული და უვარგისი მოწყობილობის გამოცვლა, მცოდნე მუშებისა და მოსამსახურეების ხელახლად შერჩევა და მრავალი სხვა. ყოველივე ამის გაკეთება მხოლოდ თანდათანობით შეიძლება.

ერთი წლის განმავლობაში დამზადებულ იქნება შაქრის, მარილის, ნავთის, ასანთისა და ზოგიერთ სხვა საგნის იმდენი რაოდენობა, რომ დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას.

მაგრამ მთელი რიგი ზოგიერთი საგნები ვერ დამზადდება საკმაო რაოდენობით. მაგალითად ტილო, მიტკალი და სხვა, წლის განმავლობაში საჭირო იქნება 2.300 მილიონი მეტრი, ხოლო ფაბრიკა კი დაამზადებს მხოლოდ 2.130 მილიონ მეტრს; ლითონის საქონელი საჭირო იქნება 382 მილიონ მანეთის, ქარხნებს შეუძლია მხოლოდ 300 მილიონ მანეთი საქონლის დამზადება; ტყავი და ფეხსაცმელის საქონელი დამზადებულ იქნება მხოლოდ 40 მილიონი წყვილი, საჭირო იქნება 44 მილიონი წყვილი; სასოფლო სამეურნეო მანქანა დამზადდება იქნება 80 მილიონ მანეთის, ხოლო საჭირო 120 მილიონ მანეთის და ასე შემდეგ.

რომ შეავსოს საქონლის სიმცირე, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს გაადიდოს მათი დამზადება არა მარტო მსხვილ ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ წვრილ სარეწავებშიც. ამ მიზნით ეწყობა კერძო წვრილ მრეწველთა მომარაგება ნახევრად დამზადებულ ნედლი მასალით, რომლისგანაც ისინი ამზადებენ საქონელს. ბოლოს, რათა საქონლის სიმცირე არ დარჩეს იმდენად საგრძნობი შემოდგომაზე, როცა მრეწველობის გადიდება კიდევ არაა შესამჩნევი ბაზრისთვის,—ამ საქონელს ხელისუფლება იძენს საზღვარგარეთ.

მაგრამ მარტო საჭირო საქონლის შეძენა არ კმარა. საჭიროა აგრეთვე საქონლის ადგილებზე მიწოდების მოგვარება. მოსახლეობის საქონლით წესიერად მომარაგების საქმეს თვალყურს ადევნებს შინა ვაჭრობის კომისარიატი. ის დაწვრილებით იკვლევს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს უკეთ ჩვენი საქონლის მარაგი, რათა ის არ ეწყოს სადმე თაროზე იმ დროს, როცა მეორე რაიონს ესაჭიროება. ის მიუთითებს რომელ რაიონში რა და რამდენი საქონელი უნდა იქნას შეტანილი.

საქმე ისაა, რომ საქონელი გზაში არ უნდა გადადიოდეს ხელიდან ხელში, არ ძვირდებოდეს და ერთი რაიონის მაგივრად მეორეში არ ხვდებოდეს.

საქონლის სიმცირემ რომელიც საგრძნობლად დაეტყო ბაზარს სექტემბერ-ოქტომბერში ბევრ ვაჭარს გაუხსნა სპეკულიაციის მადა; სპეკულიაციამ საგრძნობლად ჩაითრია აგრეთვე სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული დაწესებულებებიც. ამჟამად ამის წინააღმდეგ ძლიერი ბრძოლა სწარმოებს.

საქონლის თანდათანობით ზრდასთან ერთად ამ ბრძოლამ ბაზარზეც კარგად იმოქმედა. მაგალითად ნაქსოვ საქონელზე ფასებმა დაიწია და შემცირდა კუდები.

ვინაიდან ზოგიერთ საქონლის სიმცირე მხოლოდ დროებითია, ზოგიერთ მათგანზე სწარმოებს ხელის მოწერა.

მაგალითად სასოფლო სამეურნეო იარაღზე გაზაფხულისთვის შეიძლება ხელის მოწერა ეხლავე, ბეს შეტანით, ხოლო მარტში ხელის მომწერი მიიღებს საჭირო იარაღს.

ამრიგად საქონლის შიმშილის მოსასპობად მიღებულია ზომები, რაც გამოიხატება შემდეგში: საქონლის გამრავლება ბაზარზე, წვრილ და მსხვილ მრეწველობის გაძლიერება და საზღვარგარეთიდან დამატებითი საქონლის შემოტანა, სწორი განაწილება რაიონებში, სავაჭრო ქსელის მოგვარება, რათა საქონელი მივიდეს პირდაპირი გზით თვით მივარდნილ კუთხეებში.

თუ ყოველივე ეს ასრულებულ იქნა, მაშინ ფასები დაიწევს ცალკეულ ვაჭრობაში და არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ სოფლის დუქნებშიაც.

ა. ხ.

# წითელ ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ჩვენი კლუბის სამზადისი 1905 წ. დღესასწაულისათვის.

(ქარ. მეთაურთა სკოლა).

თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ მეთაურთა სკოლაში არსებული საკლუბო საბჭო (კლუბის გამგეობა) გამოცოცხლდა და რა თქმა უნდა საკლუბო მუშაობაც უნდა გადახალისებულიყო.

ეს ასეც მოხდა. კლუბის გამგეობამ თავის მეორე სხდომაზე აღნიშნა საკლუბო მუშაობის გამოცოცხლების დადებითი მხარეები. ამ მუშაობაში მან ჩააბა მასწავლებელთა შემადგენლობაც. წრეებს დაევალა კიდევ უფრო მეტის ინტენსივობით მუშაობა.

სხდომამ დაადგინა, რომ ამიერიდან ყველა წრეების მუშაობა უნდა ეთანხმებოდეს ერთის მხრივ სკოლის სამოსწავლო პროგრამას და მეორეს მხრივ კლუბურ-პოლიტ-მუშაობებს.

დღეიდან მეტი ყურადღება ექცევა, როგორც სამხედროთა, აგრეთვე ქართულ-რუსულ სალიტერატურო წრეებს.

საკლუბო მუშაობის პირველი ამოცანა 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავისათვის მზადებაა.

მომღერალთა წრეს დაევალა დაამზადოს: „სალდათების სიმღერა“ („სალდათი ვარ საწყალი..“), „ძირს ნიკოლოზ მაღლა მუშა!“ „არსენა ჯორჯიაშვილის სიმღერა“ „მარსელიეზა“ და სხვა.

ლიტ-წრემ და სამხედროთა წრემ უნდა დაამზადოს შესაფერი შინაარსის ზეპირი გაზეთები: „1905 წ. საქართველოში და რუსეთში“. „რუსეთის პირველი რევოლიუციის ლიტერატურა“ და სხვა.

სამხატვრო წრემ უნდა მოამზადოს შესაფერი პლაკატები და აფიშები, აგრეთვე დრამ-წრესთან ერთად უნდა მოაწყოს ცოცხალი სურათები...

დრამ-წრე კურსანტთა და წითელ არმიელთა ძალებით ამზადებს რამოდენიმე ინსცენიროვკას...

კლუბის შეკეთებაც დაჩქარებულად ხდება: ფართოვდება სცენა და ახლდება კინოს ბუდრუგანა.

ამასთანავე აუცილებელი იქნება კლუბისთვის საკუთარი სკამების შეკეთა (თორემ მეტად უხერხულია ყოველ საღამო-წარმოდგენისთვის სასადილოდან მესამე სართულში სკამების ატანა...)

საქმე ბევრია გასაკეთებელი. მეტად რთული და შინაარსიანი მუშაობის ჩატარებაც შეიძლება —მხოლოდ ამისათვის აუცილებელია კლუბის მუშაკთა და პოლიტ შემადგენლობის ერთსულოვნება.

სევ. ხიმშელი.

## ჩვენი სამხედრო სამეცნიერო წრემ გამოიწერა „წითელი არმიელი“

მესამე ლეგიონის ბატარეია.

9 დეკემბერს ჩვენს ნაწილში შესდგა სამხედრო სამეცნიერო წრის კრება, რომელზედაც დასმული იყო საკითხები „წერკუმსისა“ (წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება) და ავიო-ქიმიის უჯრედების შესახებ.

ამ საკითხების მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გოგიტიშვილმა, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ამ უჯრედების მუშაობის ამოცანები. მოხსენების შემდეგ დაადგინეს, რომ დაარსონ ეს უჯრედები და ყველამ მის მუშაობაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

ამავე კრებაზე დასმული იყო საკითხი გაზეთ „წითელ არმიელის“ გამოწერის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა, ყველამ გამოიწეროს გაზეთი „წითელი არმიელი“ და ყველამ ხელი შეუწყონ მის გავრცელებას სოფლად და ქალაქად მუშურ-გლეხურ მასაში.

სამხკორი ჭოტი.

## ბატარეის ცხოვრება.

№-ში მდგომი მე-2 არტლეგიონის საველე ბატარეია ჩინებულად არის მოწყობილი. სისუფთავით და მორთვა—სილამაზით ჩვენი ყაზარმები უთუოთ პირველ რიგში იქნებიან. მეთაურები ძლიერ მონდომებული არიან კიდევ უფრო გაალამაზონ ყაზარმის კედლები. ჩვენთან ყველაზე უფრო ლენკუთხეა მოწყობილი. წითელი არმიელები დაინტერესებული არიან პლაკატებით, სურათებით და პოპულიარულ წიგნებით. ისინი გულმოდგინეთ ათვალიერებენ ერთს და კითხულობენ მეორეს და თუ რაიმე გაუგებარია მათთვის, ისინი ამის შესახებ შეკითხვის რვეულში სწერენ. ასეთი ყურადღებისათვის ჩვენდამი მეთაურები დიდი მადლობის ღირსი არიან, მაგრამ ერთი უნდა აღვნიშნოთ, რაც უთუოთ შემდეგ გამოსწორდება. ლენკუთხეში პოლიტიკურ თემებზე წიგნების ნაკლულევანებაა, მართალია ისინი საკმაო რაოდენობით მოიპოვება ბიბლიოთეკაში, მაგრამ მათი წაკითხვის მეტი შესაძლებლობა და საშუალება არის ლენკუთხეში, ამიტომ საჭიროა მათი რაოდენობა აქ გაძლიერდეს.

სამხკორი ძირულელი.

## ყველა ვიწერთ „წითელ არმიელს“.

მეოთხე ლეგიონი.

28 ნოემბერს ჩვენს ნაწილში შესდგა უფ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრება, სადაც დასმული იყო საკითხი გაზ. „წითელი არმიელის“ გამოწერის შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ამხ. ტაბუცაძემ, რომელმაც დამწრეთ გააცნო ჩვენი გაზეთის მდგომარეობა და მოუწოდა დამსწრეთ გამოიწერონ გაზეთი ყველამ სურვილისამებრ.

მოხსენების შემდეგ უფ პოლიტ-შემადგენლობამ დაადგინა გამოიწერონ გაზეთი „წითელი არმიელი“ სამი თვით ამასთანავე ერთად კრებამ დაადგინა მიმართონ მეოთხე ლეგიონის დანარჩენ ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობას გამოსთქვან ამ საკითხზე თავიანთი აზრი.

## დავიწყეთ მეცადინეობა.

მე-3-მე ლეგიონის ბატარეია.

რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს ბატარეაში მოვიდნენ 1903 წელში დაბ. ახალწვეულები. მათი მოსვლის მეორე დღესვე დაიწყო მეცადინეობა, როგორც პოლიტიკურ ისე სამხედრო დარგში. ახალწვეულებმა მალე შეისწავლეს ჩვენი ქვემეხები, მათი ნაწილები და მოქმედება.

ახალწვეულებზე მიმაგრებული არიან რამოდენიმე მეთაური, რომლებიც სისტემატიურათ ატარებენ მეცადინეობას მათთან.

აღსანიშნავია ის, რომ ახალწვეულები დიდი ენერგიით ეკიდებიან ცოდნის შეძენას და დავალების ასრულებას. ვიმედოვნებთ, რომ ისინი მალე ამოგვიდგებიან მხარში ძველ წითელ არმიელებს.

წით. არმ. გრ. გამყრელიძე.

## უკვე დავიწყეთ ცხენებზე მეცადინეობა.

ქართ. ცხენ. ლეგ.

უკვე დავიწყეთ ცხენებზე მეცადინეობა. წითელი მოლაშქრეები ძლიერ დაინტერესებული არიან ამ მეცადინეობით და გულმოდგინებით ეტანებიან ყოველივე დავალებებს.

მეთაურებიც დიდ უნარიანობას იჩენენ და ამხანაგური მიმართვით უხსნიან ყოველივე გაკვეთილებს. წითელი არმიელებიც სათანადოთ ასრულებენ უფროსების მიერ ყოველივე დავალებებს. დისციპლინაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

სამხედრო მეცადინეობა 1-ლ ესკადრონში კარგ ნიადაგზეა დაყენებული. პოლიტსაათებიც სისტემატიურად მიმდინარეობს. ამ მოკლე ხანში სანიტარული საათების გატარებაც დაიწყეს. ასე ამ რიგად 1-ლ ესკადრონში სამხედრო და პოლიტ მეცადინეობა თან და თან უმჯობესდება და ნორმალურ კალაპოტში სდგება.

სამხკორი პ. ნ—ლი.

## საღამო-წარმოდგენა ჩვენთან.

პირველი საარტილერიო ლეგიონი.

ამ დღეებში ჩვენს ნაწილში გაიმართა საღამო-წარმოდგენა. უპირველეს ყოვლისა საღამოზე ჩატარდა პოლიტ-ლატარეა, სადაც კარგად მოპასუხე წითელ არმიელებს აძლევდენ საჩუქრებს. პოლიტ-ლატარეიაში მონაწილეობას ღებულობდენ ახალწვეულებიც, რომლებიც ძლიერ კმაყოფილი რჩებოდენ ამ სანახაობით.

ამის შემდეგ დადგმულ იქნა ა. არველაძის პიესა „დაუჯერებლობა“, აგიტ-სანიტ-დრამა სამ მოქმედებად. პიესის შინაარსი არის მიმართული ვენერიულ ავადმყოფობისა და სოფლის მარჩიელების წინააღმდეგ.

პიესაში მონაწილეობას ღებულობდენ ახალწვეულებიც. წარმოდგენის დაწყებამდე გაკეთებულ იქნა წინასწარი მოხსენება ვენერიულ ავადმყოფობაზე.

პიესა კარგად ჩატარდა და დამსწრენიც ძლიერ კმაყოფილი დარჩენ.

დასასრულს „ჯორჯიაშვილის“ და „სუხიშვილის“ სახელობის პიონერებმა წაიკითხეს ლექსები. ლექსები წაიკითხეს ახალწვეულებმაც. პიონერებმა ამის შემდეგ შეასრულეს სხვა და სხვა სიმღერები ამხ. აბულაძის ხელმძღვანელობით.

მადლობის ღირსნი არიან საღამოს მომწყობნი და მისი მონაწილენი.

სამხკორი შეშაბერიძე ედუარდი

## ჩვენი მადლობა.

1-ლი არტლეგიონის მეორე ბატარეია.

ჩვენი ნაწილის ახალწვეულების სახელით დიდ მადლობას უცხადებთ ჩვენს უფროსებს და მასწავლებლებს, რომლებიც არ ზოგავენ არავითარ შრომას, რომ ჩვენ კარგად მოგვამზადონ პოლიტიკურ და სამხედრო დარგში. განსაკუთრებით მადლობის ღირსია იმავე ბატარეიის პოლიტ-ხელი ამხ. ჭაია, რომელიც ყოველ თავისუფალ დროს ჩამოჯდება წითელარმიელებში, გვესაუბრება და გვარკვევს ჩვენთვის გაუგებარ კითხვებში.

ვუსურვებთ მას კიდევ უფრო გაცხოველებით მუშაობა ახალწვეულებში და ამით კარგად მოემზადებინოს ჩვენი ნაწილის ახალგაზრდები.

გაუმარჯოს ჩვენი უფროსებისა და მასწავლებლების დაუღალავ შრომას.

ახალწვეული ამბროსი გოგუაძე.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ბარათაშვილის გამოწვევისა, ვიწერ 2 თვით გაზეთ „წითელ არმიელს“ და ამავე მიზნისათვის ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სამხედრო პოლიტ-სკოლიდან: 1. პოლიტ-ხელს ამხ. ა-აქელოვს, 2. პოლიტ-ხელს ამხ. ლეჟავას, 3. პოლიტ-ხელს ამხ. ლეკვიშვილს, 4. პოლიტ-ხელს ამხ. თაბუკაშვილს, 5. ადიუტანტს ამხ. ნადარაიას, 6. სამნეო ნაწილის უფროსს ამხ. თავართქილაძეს, 7. ასეულის უფროსს ამხ. ქუთელიას, 8. კურსანტს ბარკალაიას, 9. პოლიტ-ხელს ამხ. მათიაშვილს.

პირველ ლეგიონიდან: 10. ბ. კოლექტივის მდივანს ამხ. კვირაიას, 11. პოლიტ-ხელს ამხ. ღულუნაძეს და 12. მეოთხე ბატარეიიდან ამხ. ჩიქოვანს.

პოლიტ-ხელი კ. ხუხუა.

# წვევამდე მზადების პუნქტებზე

## წვევამდელთა 1-ლ წერტის ცხოვრებიდან.

პირველ წერტზე 1-ლ დეკემბერს 1904 წ. დაბადებულებმა წვევამდელებმა ყველამ ერთსულოვნად თავი მოიყარა.

2 დეკემბერს წვევამდელთა წინა დღის სულიერი განწყობილება ნათლად გამოხატა საერთო კრების რეზოლიუციამ, სადაც ნათქვამია: ჩვენ 1-ლ წერტის წვევამდელებს საკმაოდ შეგნებული გვაქვს წვევამდელების და წ. არმიის მოვალეობა, რაც მდგომარეობს შინაურ კონტრრევოლიუციისა და იმპერიალისტურ ქვეყნების შემოტევისაგან თავდაცვაში, რისთვისაც საჭიროა სამხედრო მომზადება. ჩვენ ფიცსა ვდებთ მშრომელთა ხელისუფლების წინაშე, რომ ჩვენ მოვიხდით ჩვენს ზნეობრივ მოვალეობას, შევიტანთ ჩვენს წვლილს მშრომელთა სახელმწიფოს მშენებლობაში და შევამჭიდროვებთ წითელ არმიის რიგებს. ზიზღი და კრულვა ჩვენ შორის წ. არმიის ყველა დეზერტირებს!.

2 დეკემბერს, პირველ წერტზე შესდგა ს. კ. პ. და ა. ლ. კ. კ. კოლექტივის გაერთიანებული კრება, სადაც არჩეულ იქნა უფრო მომზადებულ საქმიან ამხანაგებისაგან კოლექტივის ბიურო წერტზე პარტიულ და საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობის სახელმძღვანელოდ.—

შემდეგ საერთო კრებაზე არჩეულ იქნა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, ლენკუთხის მომწყობი კომისია, სამისამართო ბიურო და პასუხისმგებელი სამხკორი.—

აგრეთვე გამოყოფილ იქნა პოლიტ-ხელმძღვანელები. ამჟამად მეცადინეობა მიმდინარეობს ორ ქართულ და რუსულ ჯგუფში.—

უნდა ითქვას, რომ პირველ წერტზე ბევრი მომზადებული ამხანაგებია თავმოყრილი და იქ კარგ ხელმძღვანელობით ნაყოფიერ მუშაობის წარმოება შეიძლება, უპირველეს ყოვლისა საჭიროა წერტის საწერ-ქაღალდით და ლიტერატურით უზრუნველყოფა.—

უფროს მეთაურთა და წვევამდელთ შორის კარგი დამოკიდებულებაა, მომავალში უფრო კარგს მოველით.—

გ. სურ—ძე

## გავხსენით წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა წვევამდელებისათვის.

მე 4 ე ლეგიონის მე-5 ასეული.

სულ რამოდენიმე დღეა რაც დავიწყეთ წვევამდელებთან მეცადინეობა. მეცადინეობაზე აყვანილი გვყავს 120 კაცამდე. სწავლის პირველ დაწყებისთანავე შედგენილ იქნა წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგების სია, სულ 25 კაცამდეა, რომლებსაც დაენიშნა მასწავლებელი.

ეს ამხანაგები საერთო მეცადინეობის შემდეგ სწავლობენ წერა-კითხვას ნაშუადღევს 4 საათიდან 6 საათამდის. მათ დაურიგდათ წიგნები, ფანქრები და რვეულები. ისინი ძლიერ ხალისიანათ ეკიდებიან სწავლას და ჩვენც იმედი გვაქვს თვე ნახევრის განმავლობაში მოვსპობთ ამ ამხანაგებში წერა-კითხვის უცოდინარობას.

მეთ. ა. ხიტირია.

## კურსანტიც ასეთი უნდა.

თბილისის სამხედრო გოსპიტალში, მესამე პალატაში იმყოფება ავადმყოფი, მეთაურთა სკოლის კურსანტი ბაგრატ გოგუაძე, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ავადმყოფებს. ის დღე და ღამე არ ისვენებს, მიეპარება ავადმყოფ და მძინარე წითელ არმიელს, დააკრავს კოიკაზე. ავადმყოფს თავისი გაჭირვებაც ეყოფა. გარდა ამისა გოგუაძეს გინებას და ცუდ ლაპარაკს ხომ საზღვარი არ აქვს. სანიტრები უშლიან მას ასეთ საქციელს, მაგრამ, ის არავის არ უჯერის.

ასეთი უზნეობა არ შეფერის მეთაურთა სკოლის კურსანტს, რომელიც მომავალში მეთაური უნდა იქნეს.

წითელი არმიელი ც. ც—ი.

## ამოცანა № 2.

გუშაგი სდგას ნივთსაწყობთან. ახლოს გადის გზა, რომელზედაც გავლის უფლება ყველას აქვს.

ამ გზაზე მიდის მეეტლე და მიაქვს ფართალი. საგუშაგოსთან ახლოს მეეტლეს გაუტყდა ეტლი. მეეტლეს არ შეუძლია წაიღოს ტვირთი. ის სთხოვს გუშაგს თვალი ადევნოს ფართალს, სანამ მეორე ეტლს მოიყვანდეს.

როგორ მოიქცევა გუშაგი ამ შემთხვევაში?

ი. ბ.

## სამხკორის კუთხე

### რა უფლებებით სარგებლობს სამხედრო კორესპონდენტი.

ამ უკანასკნელ ხანებში რედაქციაში მოგვდის მრავალი შეკითხვები სამხკორებისაგან სხვა და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც ეხება სამხკორთა მუშაობის ზოგიერთ მხარეებს. შემკითხველები მოითხოვენ რედაქციისაგან ახსნა განმარტებას.

ერთ-ერთ ასეთ შეკითხვას ეკუთვნის შემდეგი: კურსანტი ამხ. გაგუა გვეკითხება: „თქვენ დაწერილი გაქვთ განცხადება ნაწილების სამხკორთა და კედლის გაზეთების მომუშავების თათბირის მოწვევის შესახებ. ვინ უნდა დაესწროს ამ თათბირს? არჩეული სამხკორები, თუ სამხკორები, რომლებიც მუშაობენ თავიანთი სურვილით?“

ყველამ უნდა იცოდეს რომ „არჩეული“ ან „დანიშნული“ სამხკორი არ არსებობს. სამხკორის „არჩევა“ ან „დანიშვნა“ დიდი შეცდომაა. ამის შესახებ ჩვენ ბევრჯერ მიუთითეთ ნაწილებს.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდეთ, რომ სამხედრო კორესპონდენტი არის ყოველი წითელი არმიელი, კურსანტი, სამხედრო მოსამსახურე და სხ., რომელიც სწერს კორესპონდენციებს თავის მხედველობის ფარგლებში მყოფ სამხედრო ნაწილების ცხოვრებასა და მუშაობაზე. სამხკორი არის საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი, მისი ორგანიზატორი და სხ.

სამხკორს თავისუფლად შეუძლია სწეროს ყოველი საკითხის შესახებ, სხვის დაუკითხავად და უნებართვოდ. მხოლოდ თავის დაწერილზე კი არის პასუხის-მგებელი.

მი.

## მოსპეთ ნაკლოვანებანი

### ნაკლს გამოსწორება სჭირია.

მე-5 ტერლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში ქ. ქუთაისში გამუდმებული წვიმებია. მდინარე რიონმა საგრძნობლად მოიმატა და აღშფოთებულ მდინარეს თან მოაქვს ყველაფერი. მეტად მღვრიე და შავი წყალი მოდის.

მიუხედავათ ამისა მაინც იქიდან ეზიდებიან წყალს და ასეთი ტალახიანი წყლით აკეთებენ საჭმელს ჩვენთან. ხშირად ყაზარმის სახურავის შელებილი თუნუქის ნარეცხ წვიმის წყალს ამჯობინებენ. ცხადია ასეთი წყლით დამზადებული საჭმელით ადვილი შესაძლებელია, რომ წითელარმიელები ავათ გახდნენ. ამ მოვლენას ყურადღება უნდა მიაქციონ ლეგიონის ხელმძღვანელებმა და ლეგიონის უფროს ექიმმა... გამოსავალი კი არის. შეიძლება ჭის წყლის მოტანა ან და მღვრიე წყლის დაშაბვა.

ამასთანავე ერთად წითელარმიელები დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლოობის გამო. გვაქვს წყლის ონკანი, მაგრამ იშვიათად მოდის შიგ წყალი. ხშირი შემთხვევაა, რომ დილაობით წითელარმიელები პირდაუბანელები რჩებიან უწყლოობის გამო. ყოველივე ეს ნაკლი დაუყონებლივ უნდა გამოსწორდეს.

სამხკორი ქარ-ბუქი.

## სასადილოშიაც საჭიროა წესრიგის დაცვა.

ქართული ცხენოს. ლეგიონი.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის სასადილოში ძალიან ხშირად აქვს ადგილი უწესრიგობას, იმის გამო, რომ მასში არ მოიპოვება ჩაის დასალევ ჭიქების საკმაო რიცხვი. ამის შესახებ რამოდენიმეჯერ დაიწერა ჩვენს გაზეთში, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას თითქოს ეს მდგომარეობა ყურადღების ღირსიც არ არ იყოს. აქ ჩაის დალევა პირდაპირ მოსწრებაზეა. ჩაის დალევს მხოლოდ ის წითელ არმიელი, რომელსაც მკლავები მძლავრი აქვს, დანარჩენი კი შორიდან შეყურებენ. ეს მდგომარეობა ალიაქოთს იწვევს სასადილოში, არის ლანძღვა გინება, რაც დაუშვებელია წითელ ყაზარმაში.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და დროზე იქნეს შეძენილი ჭიქების საჭირო რაოდენობა.

სამხკორი პ. ნ—ლი.

## უცხოეთის არმიებში

### პოლონეთის ოფიცრები გადაიკიდენ.

პოლონეთის ოფიცრობაში დიდი დავაა მარშალ პილსუდსკის (პოლონეთის სახელმწიფოს ყოფილი უფროსი) და ეხლანდელ სამხედრო მინისტრ სიკორსკის მომხრეთა შორის. პილსუდსკის მომხრეები მოითხოვენ სიკორსკის გადაყენებას და პილსუდსკის ჯარის სათავეში მოწვევას. ამ ნიადაგზე ამ ბოლო დროს ასეთი ინციდენტს ჰქონდა ადგილი მათშორის. ვილნოს (ქალაქია) ოფიცრობამ დასვა საკითხი „გენერალ შეპტიცკის სახელობის“ ყაზარმების „თავისუფლების მარშალ პილსუდსკის სახელობაზე“ გადათქმის შესახებ. ადგილობრივ კორპუსის უფროსმა გენერალმა ბერბეცკიმ არავითარი პასუხი არ მისცა ოფიცრობის შეკითხვას. 20 ნოემბრიდან 21 ყაზარმას აგლიჯეს წარწერა „გენერალ შეპტიცკის“ სახელობის და ის შესცვალეს „მარშალ პილსუდსკის სახელობით“ ამ გარემოებამ დიდი აღელვება გამოიწვია ვილნოს პოლონელთა შორის. ისინი გაიყვნენ ორ ბანაკად.

პილსუდსკის მომხრე ოფიცრობას ხელმძღვანელობს გენერალი დემბ ბერნაცკი. უკანასკნელმა ამ დღეებში შეუყარა თავი მის ხელქვეით მყოფ ოფიცრებს და წინადადება მისცა არ დაემორჩილონ ისინი გენერალ ბერბეცკის ბრძანებებს. ამის საპასუხოთ გენერალმა ბერბეცკიმ პასუხისგებაში მისცა მთელი რიგი ოფიცრებისა და ამის შესახებ ეცნობა სამხედრო სამინისტროს. უკანასკნელმა თავის მხრივ გადააყენა თანამდებობიდან გენერალი დემბ ბერნაცკი, პირველ დივიზიის უფროსი და პოლკის უფროსები რუშევსკი და სკვარჩინსკი.

## ახალი ამბები.

— **წითელი არმიისა და ფლოტის სახლში 12 დეკემბრიდან** შეუდგა მუშაობას სამხედრო იურიდიული ბიურო.

— **გლეხთა სახლთან.** მეორე ქართ. დივ. პოლიტგანყოფილების მეთაურობით, გლეხთა სახლთან განზრახულია მოეწყოს სამხედრო კუთხე, სადაც გაიმართება საუბრები სამხედრო საკითხებზე გლეხებთან.

— **სამხედრო წიგნები.** ქართულ სამხედრო-სარედაქციო კომისიამ გამოსცა სამხედრო-ტეხნიკური რუსულ-ქართული ლექსიკონი.

— **სადისციპლინო წესდება.** სამხ.-სარედაქციო კომისია ამ დღეებში გამოსცემს „სადისციპლინო წესდებას“.

— **სიმინდის გატანა.** შინაგან ვაჭრობის კომისარიატი საზღვარგარეთ გასატანათ ამზადებს დასავლეთ საქართველოში 600 ათას ფუთ სიმინდს.

— **თამბაქოს მოსავალი** წელს კახეთში თამბაქოს მოსავალი უდრის 30 ათასი ფუთს.

— **ტყეების ბადცემა.** მიწად-მოქმ. კომისარიატს დღემდე მთელ საქართველოში გლეხებ სათვის გადაუცია 25 ათასი დესეტ. ტყე.

— **ქალაქის აღმასკომმა** დაადგინა ფართოდ აწარმოოს წელს ქალაქის გარე უბნებში ქუჩების კეთილ-მოწყობა.

— **ახალი სანერგე.** ტფილისის აღმასკომის მეთაურობით ხუდადოვის ტყეში გაშენებულ იქნა ახალი სანერგე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**№-ს.** ახალწვეული წითელ არმიელები ზამთრის სამოსწავლო პერიოდის განმავლობაში საყარაულო სამსახურიდან და აგრეთვე ნაწილის გარეშე განწესებებიდან, შეძლების დაგვარად, თავისუფლდებიან, მხოლოდ ზამთრის ხანის მეორე საფეხურიდან ე. ი. 15 იანვრიდან ინიშნებიან პრაქტიკის მიზნით ყარაულში არა უმეტეს ორხელ თვეში. (ბრძანება დივიზიისადმი № 178).

**მამისეიშვილს.** თქვენ გიმსახურიათ 7 თვე, რის შემდეგ ავადმყოფობის გამო გაუთავისუფლებიხართ 6 თვით. 7 თვე, რომელიც გაატარეთ ჯარში გეთვლებათ სამსახურში.

**შ. იოსელიანს.** სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება არ გეკუთვნით. უნდა იმსახუროთ მომავალ წლის შემოდგომამდე.

**შ. ხოშტარიას.** ზედმეტ მსახურ ზემდეგს რევოლვერის ტარება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ტაბულით დადებულია, თუ არა და არ აქვს უფლება.

**პ. ვოსკანოვს.** 1925 წ. მაისში გამოწვეულებს გაანთავისუფლებენ 1926 წ. შემოდგომაზე.

**ს. გოგიას.** საშუალო სასწავლებელ დამთავრებულნი, რომ საშუალო მეთაურის გამოცდებზე დაიშვებიან, ამის შესახებ არის ბრძანება რევსამხსაბჭოს № 1274—24 წ.

**მასვე.** ყოველ წელს ინიშნება გამომცდელი კომისია საშუალო მეთაურზე, რაიც ცხადდება არმიისადმი ბრძანებაში.

**ა. ხიტირიას.** არტილერიის ოცეულის მეთაური არის ის თუ ქვეითა ჯარის -კატეგორია მეთ.—3 ატარებს ერთ ოთხკუთხედს.

**ა. მ.** არტილერიის ოცეულის მეთაურის ჯამაგირი დამოკიდებულია ხარისხზე შტატის მიხედვით.

**ჭალისხეველს.** ლვადო შვებულებაში წასვლის დროს თქვენ მიიღებდით მეორე ვადის მაზარას, ახალი არ გეკუთვნოდათ.

## ჩვენი ფოსტა.

**სამხკორ კახიძეს.** თქვენი კორესპონდენცია „ქუთაისის მაზრაში“ გადაეცა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას.

**ამხ. დ. ჭინჭარაძეს,** ქართულ მეთაურთა სკოლაში. თქვენი კორესპოდენციის გამო შემოიარეთ რედაქციაში, ორშაბათს, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე.

**ამხ. ალ. გაგუას.** თქვენ გვეკითხებით: „თქვენს გაზეთში არის მოთავსებული განცხადება სამხკორთა თათბირის შესახებ, ვის ეხება ეს განცხადება; სამხკორებს რომლებიც ვართ არჩეული, თუ რომლებიც ვმუშაობთ ჩვენი სურვილით?“

ამხ. გაგუა! ამდენხანს უნდა გცოდნოდა, რომ სამხკორები არ ირჩევიან, არამედ ის, ვინც სისტემატიურად ითანამშრომლებს გაზეთში იქნება კორესპოდენტი. ამის შესახებ ჰკითხეთ თქვენი ნაწილის სამხკორ ორგანიზატორს.

**ამხ. ივრისპირელ შალიკოს.** თქვენი კორესპოდენცია „შემთხვევა“ გადაეცა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2-ე ცალკე მესანგრე და საკავშირო ასეულების შეერთებულ კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. ბუჩუკური ალექსანდრეს, წითელ არმიელს, დაბ. 1902 წელს, დუშეთის მაზრა სოფელ თიანეთში მცხოვრებს. თუ ვისმეს რაიმე მოეპოებათ ზემოაღნიშნულ ამხ. საწინააღმდეგო კ. პ კანდიდატად მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოსვლისა.

უჯრედის მდ. სიხარულიძე.

ვაცხადებთ საყურადღებოთ ტფილისის გარნიზონის დაწესებულებებისა და ნაწილების, რომლებსაც ეძლევათ კრედიტი სამხედრო მომხმარებელ საზოგადოება „ბოეცი“-ს მთავარ კანტორის მიერ, რომ გრძელვადიან კრედიტისთვის ორდერების გაცემა იწარმოებს მხოლოდ

15 დეკემბრამდე ჩათვლით.

საქონლის გაცემა გრძელვადიან საკრედიტო ორდერებით იწარმოებს მხოლოდ

22 დეკემბრამდე,

რის შემდეგ კრედიტის გაცემა შესწყდება.

მოუხმარელი ორდერები დაბრუნებულ უნდა იქნას სამხედრო მომხმარებელ საზოგადოების კანტორაში არა უგვიანეს საკრედიტო ვალის პირველი ნაწილის გადახდის ვადისა.

სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცი“-ს გამგეობა.

## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე